ოქმი N9

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2021 წლის 31 აგვისტო

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 21 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. ჩოკორაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებლი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვ

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა. რის შემდგომაც სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ავადმყოფობის გამო სხდომას ვერ ესწრებოდა, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (დ. ბერაია) და კომისიის დასკვნას წარმოადგენდა, ამავე კომისიის წევრი თემური გულუა და სთხოვა მას, წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

თ. გულუა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში არაერთგზის გამოიკვეთა მუნიციპალიტეტის 2 ადმინისტრაციული ერთეულის გაყოფის აუცილებლობა, კერძოდ: გეოგრაფიული განლაგებისა და მოსახლეობის განსახლების - ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრების ცალკეული სოფლებიდან დაშორების გათვალისწინებით, მოსახლეობისთვის მუნიციპალური სერვისების ეფექტურად მიწოდებისთვის მეტად ხელსაყრელი და მიზანშეწონილია საჯიჯაოს და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულების დაყოფა 2-2 ადმინისტრაციულ ერთეულად. საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეული მოიცავს 4 დასახლებას, ესენია: სოფლები გაღმა საჯიჯაო, ზენი, ზუბი და ჯაპიშაქარი, რომელთაგან სოფელი გაღმა საჯიჯაო მიზანშეწონილია გამოეყოს საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულს და ჩამოყალიბდეს ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად, გაღმა საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის დასახელებით. ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეული მოიცავს 5 დასახლებას, ესენია: სოფლები გიმოზგონჯილი,

ბულიში, დურღენა, გვიმარონი და ჭითაუშქური, რომელთაგან გვიმარონი და ჭითაუშკური მიზანშეწონილია გამოეყოს ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულს და ჩამოყალიბდეს შუა ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულად, რაც ფაქტობრივად მოსახლეობაში ამ არეალისთვის ფართოდ გავრცელებულ დასახელებას წარმოადგენს. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, „მართვის ოპტიმიზაციისათვის მუნიციპალიტეტი შეიძლება დაიყოს ადმინისტრაციულ ერთეულებად. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის მერის ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის წარდგინებით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, დადგენილებით იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო". ორივე შემთხვევაში, გარდა ადგილობრივ დონეზე მართვის ოპტიმიზაციის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მისაღები ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებისა, საჯიჯაოს და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიებზე დასახლებების მსგავსი პრინციპით გადანაწილების მოთხოვნა წლების განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნასაც წარმოადგენდა. ზემოთ აღნიშნული მიზნებისთვის აუცილებელი გადაწყვეტილების მისაღებად, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის ამოქმედება გათვალისწინებულია 2022 წლის 1 იანვრიდან. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხრიდან დადგენილების პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, დადგენილების ძალაში შესვლამდე ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაიგეგმება ახალი ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისთვის აუცილებელი საორგანიზაციო საკითხები, მათ შორის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრების მოწყობის (მათ შორის ადმინისტრაციული შენობებისა და სხვა სახის კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და განხორციელება), მერის წარმომადგენლობის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრისა და მათი მატერიალურ ტექნიკური აღჭურვის და სხვა სახის ღონისძიებებისთვის აუცილებელი თანხების განსაზღვრა, ადგილობრივ ბიუჯეტში გასათვალისწინებლად. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N13 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. ჩოკორაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა. რის შემდგომაც სთხოვა იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრს (თ. გულუა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

თ. გულუა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში მკვეთრად იმატა კომპიუტერული ტექნიკის მომსახურებისა და ზოგადად, ტექნიკური აღჭურვისთვის აუცილებელმა სამუშაოებმა, კერძოდ: მიმდინარე წელს შესყიდული კომპიუტერული ტექნიკის მარაგნაწილებით სრულად შეკეთდა მერიის სამსახურებში არსებული, მწყობრიდან გამოსული ან დაბალი მონაცემების კომპიუტერები. ასევე შეკეთდა ადმინისტრაციულ სამსახურში დროთა განმავლობაში დასაწყობებული შესაკეთებელი კომპიუტერები და გადაეცა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს.

ამჟამად ხორციელდება ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული კომპიუტერების აღდგენა, განახლება, ახალი პროგრამული უზრუნველყოფა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვისთვის მომზადება. უახლოესი პერიოდისთვის დაგეგმილია დამატებით 21 კომპიუტერის და მრავალფუნქციური პრინტერების შესყიდვა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებულთა სრული კომპიუტერული უზრუნველყოფა. მიმდინარე საქმიანობა სრულად ხორციელდება საინფორმაციო ტექნოლოგიებით მომსახურების საკითხებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული 1 პირის მიერ, რაც თავისთავად შრომატევად საქმიანობას მოიცავს, ხოლო უახლოესი პერიოდისთვის მერიის სამსახურებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსებული 140-ზე მეტი კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების (პრინტერები, სკანერები, ვებ-კამერები და სხვა) სრულყოფილად მართვა შეუძლებელი იქნება 1 მოსამსახურის მეშვეობით. ზემოთ აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, დამატებით იქნეს გათვალისწინებული 1 პოზიცია შრომითი ხელშეკრულებით, შესაბამისი სპეციალისტის მოსაწვევად. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად: „საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს... დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.“. „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად: „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში დაიშვება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტების (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საჯარო დაწესებულებებში – შესაბამის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსთან შეთანხმებით.“. ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზღვრული ოდენობის შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პოზიციათა

რაოდენობა შეადგენს 6 ერთეულს (საშტატო ნუსხის 139 ერთეულზე 5%-ის გაანგარიშებით - 6,95 ერთეული) და ექვსივე პოზიცია შევსებულია, საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით - ხობის მუნიციპალიტეტის მერს მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე ესაჭიროება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობა. ზემოთ აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N19 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2021 წლის 31 აგვისტოს სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. მამუკა ქარდავა
2. ვლადიმერ ქანთარია
3. ტარიელ ალექსანდრია
4. ბექა მამაცაშვილი
5. მერაბ ფილიპია
6. თემური გულუა
7. კახა ლატარია
8. აბელი ქირია
9. კონსტანტინე ნასარაია
10. დავით ცინაძე
11. მერაბი ნადარაია
12. აკაკი ხურცლავა
13. კახა მიქაბერიძე
14. გოჩა ჯობავა
15. ავთანდილ ხუნჯუა
16. მზია ლემონჯარია
17. კობა გოქაძე
18. გენადი ქამანაია
19. ლაშა ცატავა
20. შადიმან ჭილაია
21. გია წულაია